პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფცია.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფცია განკარგულების დედანს თან ერთვის)

**მუხლი 2.** მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა განკარგულების დედანს თან ერთვის)

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრავას ქუჩა N 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი

# 2024-2030 წლებისთვის
# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკის კონცეფცია

*ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების,*
*მის კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისთვის*

<u>სარჩევი</u>


**I. შესავალი**

**II. ხედვა და მისია**

**III. სტრატეგიული პრიორიტეტები**

მიზანი 1. მოქალაქეთა ფიზიკური აქტივობის დონის ზრდა

მიზანი 2. ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური სპორტული სერვისების მიწოდება

მიზანი 3. სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის გაძლიერება

მიზანი 4. სპორტის ეკონომიკური განზომილების განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 5. სპორტული და აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის განვითარება, ხელმისაწვდომობის ზრდა

მიზანი 6. სპორტულ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან თანამშრომლობის გაძლიერება

**IV. კონცეფციის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება**

**დანართი:** კონცეფციის ლოგიკური ჩარჩო

## I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სპორტის მნიშვნელობა გასცდა სპორტული მოედნებისა და დარბაზების, ღონისძიებებისა და მოვლენების საზღვრებს. სპორტი გახდა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, რომელმაც გავლენა მოახდინა მოქალაქეთა ცხოვრების მრავალ ასპექტზე და დადებითი ცვლილებები შეიტანა საზოგადოების განვითარებაში. დღეს სპორტი უფრო მეტია, ვიდრე სპორტული ღონისძიების ორგანიზება, სპორტსმენთა მომზადება ან ასპარეზობა, შეჯიბრზე მოპოვებული გამარჯვება ან მედალი, ფიზიკური აქტივობა ან გართობა.

სპორტი არის უნიკალური საშუალება, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) აღიარებს სპორტის დიდი პოტენციალს, წვლილი შეიტანოს მდგრად განვითარებასა და მშვიდობაში. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სპორტი არის მოქნილი და ხარჯთეფექტიანი საშუალება, რომელსაც შეუძლია პირდაპირი და ირიბი გავლენა მოახდინოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, როგორიცაა: ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა, ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, უთანაბრობის შემცირება, ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება, ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და სხვა. სპორტის ამ პოტენციალს თავიანთ საქმიანობაში იყენებენ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ.: გაერო, ევროკავშირი, ერთა თანამეგობრობა, სხვ), ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე სპორტული ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული სუბიექტები.

სპორტის მეშვეობით საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე პირდაპირი გავლენის მოსახდენად ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას მიზანმიმართული და თანმიმდევრული საჯარო პოლიტიკის განხორციელება, ასევე სხვადასხვა სექტორში (კერძო, სამოქალაქო, აკადემიური წრეები და სხვა) მოქმედი მხარეების კოორდინაცია, რესურსებისა და ძალისხმევის გაერთიანება წარმოადგენს.

საქართველოში, სპორტის მართვის არსებული მოდელის გათვალისწინებით, საჯარო ხელისუფლებას პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი და პროაქტიული როლი ენიჭება. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე“. საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“ განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე სპორტული საქმიანობის ზოგადსამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ასევე სპორტის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: საყოველთაობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტული ინდუსტრიის განვითარება.

სპორტის სფეროში საქართველოს მთავრობის მიზნები და ამოცანები, ასევე არსებული გამოწვევები წარმოდგენილია „საქართველოს განვითარების სტრატეგიაში - ხედვა 2030.“

დოკუმენტის თანახმად, სფეროში არსებულ გამოწვევებს შორისაა: სოციალურად დაუცველი ბავშვების, ხანდაზმულების, ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შემდგომში - შშმ პირები) სპორტში მონაწილეობის დაბალი დონე; მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის დეფიციტი; სპორტში სახელმწიფო სახსრების უფრო შედეგიანი ხარჯვა; კერძო ინვესტიციების მოზიდვა; რეგიონებში სპორტული ტურიზმის განვითარება და სხვა. ამ გამოწვევებთან გამკლავება პირდაპირ და დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

სახელმწიფო მიზნების განხორციელების კონტექსტში, არსებითად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ, მათი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, შესაბამისი მიდგომების დანერგვა და ღონისძიებების განხორციელება. სპორტის მართვის ნაწილში, ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, მათ შორის: ა) მართვაში არსებული საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა; ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შშმ პირითების, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა; გ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება; დ) სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით - მასობრივი სპორტის, გენდერული თანასწორობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, აგრეთვე ინვესტიციების მოზიდვა და ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა.

საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები: ა) შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს; ბ) აფუძნებენ და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს; გ) ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რეაბილიტაციასა და განვითარებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სპორტის გამოყენებით, ადგილობრივი მოქალაქეების სოციალური და ეკონომიკური განვითარების, აგრეთვე საქართველოს მდგრადი განვითარების ეროვნული დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებისა და სპორტის სფეროში სახელმწიფოს ამოცანების შესრულების ხელშეწყობისთვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ შეიმუშავა, ხოლო საკრებულომ დაამტკიცა „2024-2030 წლებისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკის კონცეფცია" (შემდგომში - კონცეფცია).

**კონცეფციის ხედვა:** ქუთაისის სპორტის პოლიტიკა ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ახედვის გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მისიაა:

ა) განამტკიცოს ქუთაისის სპორტული ტრადიციები, რისთვისაც ქმნის სათანადო პირობებს ნიჭიერი სპორტსმენებისა და პროფესიული სპორტის განვითარებისთვის;

ბ) განამტკიცოს მოქალაქეთა ჯანმრთელობა, რისთვისაც ქმნის ყველასთვის, ფიზიკური აქტივობისა და სპორტში მონაწილეობისთვის უსაფრთხო და ადაპტირებულ გარემოს;

გ) განამტკიცოს სპორტის პოტენციალი და გავლენა ადგილობრივი საზოგადოების მდგრადი განვითარების სხვა ამოცანებისთვის.

კონცეფციით გათვალისწინებული ხედვის რეალიზაციისთვის, არსებული რესურსისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, განისაზღვრა ერთმანეთთან დაკავშირებული 6 სტრატეგიული მიზანი და 20 ამოცანა, რომელიც აღჭურვილია გავლენისა და შედეგების ინდიკატორებით (წარმოდგენილია დანართში - კონცეფციის ლოგიკური ჩარჩო). აღსანიშნავია, რომ კონცეფციის ამოცანების შესრულების პროცესში, არსებითად მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ეროვნული და ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციების, აგრეთვე სამოქალაქო, კერძო და სხვა სექტორებში მოქმედი დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა.

კონცეფცია შეიმუშავა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. დოკუმენტის შემუშავების პროცესს ასევე ხელს უწყობდა საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი.

კონცეფციის დოკუმენტის დაგეგმვის თითოეულ ეტაპი: სიტუაციის ანალიზი, პრიორიტეტების განსაზღვრა, მიზნების და ამოცანების ფორმირება, განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად. პროცესში უზრუნველყოფილი იყო შემდეგი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა: ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, ეროვნული და რეგიონული სპორტული ორგანიზაციები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები; ქუთაისის სამოქალაქო და კერძო სექტორი (მათ შორის, ქალთა და შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები); სპორტის დარგის სპეციალისტები და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები; ადგილობრივ დონეზე სპორტის სფეროს მუშაკები, სპორტსმენები და მერიის სპორტული დაწესებულებების ბენეფიციარები და მენეჯერები; ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები; ქუთაისის მერიისა და საკრებულოს დარგობრივი სამსახურებისა და კომისიების წარმომადგენლები.

საჯარო კონსულტაციები სხვადასხვა ფორმატის და მეთოდოლოგიის გამოყენებით წარიმართა, მათ შორის: სტრუქტურული და ნახევრად სტრუქტურული სამუშაო შეხვედრები, პირისპირ და ონლაინ ინტერვიუები, დისკუსიები. კონსულტაციებში მონაწილე პირების მიერ გამოთქმული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოსაზრებები და წინადადებები, გათვალისწინებული იყო კონცეფციის შემუშავების პროცესში. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები გაიმართა 2022 წლის 12 დეკემბრიდან - 2023 წლის 15 თებერვლის პერიოდში, სულ პროცესში 300-ზე მეტი ფიზიკური პირი მონაწილეობდა.

კონცეფციის საბოლოო პროექტი განთავსებული იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ მოსაზრებების და წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა.

კონცეფციის დოკუმენტი ეფუძნება, გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით დაქირავებული კონსულტანტის მიერ ჩატარებულ თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევებს (1. „როგორ გამოვიყენოთ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის"; 2. „ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების სპორტის პოლიტიკის ანალიზი"). ზემოაღნიშნულ ანგარიშებში, საერთაშორისო პრაქტიკასა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ერთის მხრივ - წარმოდგენილია მდგრადი განვითარების მიზნებისთვის სპორტის გამოყენების მაგალითები და პრაქტიკული მიდგომები, ხოლო მეორეს მხრივ - გაანალიზებულია მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები.

კონცეფცია ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს, შესაბამის პრინციპებსა და მიდგომებს:

საქართველოს ნორმატიულ და კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
დ) კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
ე) ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
ვ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
ზ) საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ";
თ) საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ";
ი) საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ";
კ) საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ";
ლ) საქართველოს კანონი ,,საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ";
მ) საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სპორტის სფეროში გაფართოებული ნაწილობრივი შეთანხმების (EPAS) სტატუტთან" შეერთების შესახებ;

საერთაშორისო, ეროვნული პოლიტიკის და სხვა დოკუმენტებს, მათ შორის:

ა) გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლისთვის);
ბ) ევროპის საბჭოს მიერ სპორტის სფეროში მიღებული რეზოლუციები და რეკომენდაციები, მათ შორის „ევროპის სპორტის ქარტია და სპორტული ეთიკის კოდექსი";
გ) იუნესკოს გენერალური კონფერენციის მიერ მიღებული „საერთაშორისო ქარტია სასპორტო განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ";
დ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრებისა და მაღალი თანამდებობის პირთა იუნესკოს საერთაშორისო კონფერენციის (MINEPS) მიერ მიღებული

დოკუმენტები;
ე) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის შესახებ;
ვ) ევროპის ქარტიას „ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“;
ზ) ,,ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“;
თ),,მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი“;
ი) „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“;
კ) ,,მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელო“;
ლ) „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“
მ) დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგია“;
ნ) ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია“;
ო),,საქართველოს 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია;
პ),,საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2023 – 2030“;
ჟ) „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“
რ) „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026”
ს) საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
ტ) „ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგია 2023-2028 წლებისთვის“
უ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია “
ფ) საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, მათ შორის: სპორტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, მოქალაქეთა ფიზიკური აქტივობის დონის და სპორტში მონაწილეობის გაზრდის, აგრეთვე სპორტში კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვის შესახებ.

## II. კონცეფციის ხედვა და მისია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

განსაზღვრული ხედვის რეალიზებისთვის, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება:

ა) განამტკიცებს ქუთაისის სპორტულ ტრადიციებს, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს ნიჭიერი სპორტსმენებისა და პროფესიული სპორტის განვითარებისთვის;

ბ) განამტკიცებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, რისთვისაც შექმნის ყველასთვის, ფიზიკური აქტივობისა და სპორტში მონაწილეობისთვის უსაფრთხო და ადაპტირებულ გარემოს;

გ) გამოიყენებს სპორტის პოტენციალს და გავლენას ადგილობრივი საზოგადოების მდგრადი განვითარების სხვა ამოცანების შესრულებისთვის.

## III. სტრატეგიული პრიორიტეტები

კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით.

ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი“.

კონცეფციის სტრატეგიულ მიმართულებებზე მუშაობის პროცესში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეისწავლა და გაითვალისწინა ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებთან ჰარმონიზაციის პრინციპი, ასევე ხელთარსებული რესურსისა და შესაძლებლობების ფარგლებში, დაისახა სახელმწიფო ამოცანების ადგილობრივ დონეზე შესრულების ხელშეწყობა. კვლევის ანგარიშში „როგორ გამოვიყენოთ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის?“ წარმოდგენილია ადგილობრივი პოლიტიკის ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტებთან თანხვედრის ანალიზი, პარტნიორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები და საჭირო მიდგომები.

ინფორმაცია კონცეფციით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მოსალოდნელი შედეგების, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან მათი კავშირის შესახებ წარმოდგენილია კონცეფციის ლოგიკურ ჩარჩოში (იხილეთ დანართი).

### *მიზანი 1. ქუთაისში მცხოვრები მოქალაქეების ფიზიკური აქტივობის დონის ზრდა*

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (შემდგომში - ჯანმო) აღიარებს, რომ რეგულარული ფიზიკური აქტივობა, რომელიც აერთიანებს სპორტულ ვარჯიშსაც, წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას არაგადამდებ დაავადებებთან (შემდგომში - აგდ) დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შემცირებისთვის, მათ შორის: ჰიპერტენზია, ჭარბწონიანობა და სიმსუქნე, მენტალური ჯანმრთელობა და სხვა. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შემცირებას. ჯანმო-მ მიიღო დოკუმენტი „ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის შესახებ გლობალური რეკომენდაციები”, რომლითაც განისაზღვრა ფიზიკური აქტივობის ფორმები (ტიპი), ხანგრძლივობა, სიხშირე, ინტენსივობა და საერთო მოცულობა მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიებისთვის.

მსოფლიო მასშტაბით, 30-დან 69 წლის ასაკში, ნაადრევი გარდაცვალების შემთხვევათა 71% გამოწვეულია აგდ-ით. აღნიშნული დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს თითოეულ

ქვეყანას. საქართველოში აგდ-ის შედეგად გარდაცვალების ფაქტობრივი დონე და გარდაცვალების ალბათობაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. აგდ-ს ტვირთი და მათი რისკ-ფაქტორები საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, რაც ასახულია მთავრობის პოლიტიკის დოკუმენტში, მათ შორის: „საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია", „არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2022-2026 წლებისთვის". ამ დოკუმენტების გარდა, ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, როგორც პრიორიტეტი, განსაზღვრულია „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით".

საქართველოში მოსახლეობის დაბალი ფიზიკური აქტივობა და მონაწილეობა სპორტულ ვარჯიშში დასტურდება სხვადასხვა კვლევით. 2016 წელს არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების პოპულაციური კვლევით გამოვლინდა, რომ 18-დან 69 წლის ასაკში მოსახლეობის 82,4% არ არის ინტენსიურად დატვირთული ფიზიკური აქტივობით (კაცები - 72.2%, ქალები - 91.8%). მოქალაქეთა დაბალ ფიზიკურ აქტივობასა და მასობრივ სპორტში ჩართულობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის: არასაკმარისი დრო სპორტულ აქტივობაში ჩართვისთვის, არასაკმარისი ინფორმირებულობა, სპორტული ობიექტების და ღია საჯარო სივრცეებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის და სხვა პრობლემები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორში ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე მომუშავე სპეციალისტთა მოსაზრებით, ქუთაისში მოქალაქეთა დაბალი ფიზიკური აქტივობა და აგდ-ს მაღალი მაჩვენებლები არსებით გამოწვევას წარმოადგენს. სპეციალისტთა შეფასებით, აგდ-ს კონტექსტში, ქუთაისში ჭარბობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, პროსტატისა და ფილტვის კიბო, მენტალური პრობლემები, ასევე ნარკოდამოკიდებულებით და ალკოჰოლიზმით გამოწვეული ფსიქოზი.

კონცეფციის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ ჯგუფებთან გამართული კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა, რომ ქუთაისის მოსახლეობის დაბალი ფიზიკური აქტივობის ძირითად მიზეზებს შორისაა: ა) ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის შესახებ ინფორმაციის არ ქონა; ბ) სპორტში ქალთა და შშმ პირთა მონაწილეობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის დამკვიდრებული სტერეოტიპები და აღქმები; გ) ხელმისაწვდომი სპორტული და სარეკრეაციო შემოთავაზებების, აგრეთვე სპორტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა; დ) მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებსა და შესაძლებლობებზე (ქალები, შშმ პირები) მორგებული სერვისების დეფიციტი; ე) ფეხით, ველოსიპედით და სხვა არამოტორიზებული ტრანსპორტით გადაადგილებისთვის კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის დეფიციტი.

კონცეფციის დამტკიცებამდე, ქუთაისის ხელისუფლების საქმიანობა დაკავშირებული იყო მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან, ქალებისა და შშმ პირთა სპორტში მონაწილეობის დონის ზრდასთან, ქალაქის ინფრასტრუქტურის, მათ შორის: სპორტული და სარეკრეაციო ობიექტების კეთილმოწყობასთან, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის უფასო და კომერციული სპორტული მომსახურების

მიწოდებასთან. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, სპორტის პოლიტიკის ანალიზი და დაინტერესებულ ჯგუფებთან გამართული კონსულტაციების შედეგები ცხადყოფს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის დონის ამაღლებისთვის საჭიროა მიდგომების განახლება და უფრო მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელება.

ზემოაღნიშნული გამოწვევებისა და მიგნებების გათვალისწინებით, ქუთაისში მოქალაქეთა ფიზიკური აქტივობის დონის გაზრდის მიზნით, კონცეფციით განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

**1.1. მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ზრდა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის შესახებ.** ამოცანის წარმატებით შესრულებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული საინფორმაციო და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელება. ამ მხრივ, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოქალაქეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის რეგულარულ კვლევაზე, რაოდენობრივი საბაზისო მონაცემების განსაზღვრაზე, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე სხვა დაინტერსებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარებაზე. ამოცანის შესრულების პროცესში, ყურადღება უნდა გამახვილდეს სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ინფორმირებაზე და მათში შესაბამისი დამოკიდებულებების ფორმირებაზე.

**1.2. მოქალაქეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული ფიზიკური და სპორტული აქტივობის ხელშემწყობი სერვისების მიწოდება.** ამოცანის შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალებისა და შშმ პირთათვის უსაფრთხო და ადაპტირებული სერვისების განვითარებაზე. ამჟამად, არსებითად შეზღუდულია იმ სპორტული სერვისების რაოდენობა, რომელიც ქალაქში შშმ პირთათვის არის ხელმისაწვდომი. აგრეთვე, მონაცემებით დასტურდება, რომ მერიის მიერ ორგანიზებულ და მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომ სპორტულ სერვისებში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი 17%-ს არ აღემატება.

**1.3. ქვეითად და არამოტორიზებული ტრანსპორტით გადაადგილებისთვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა.** კეთილმოწყობილი საქალაქო ინფრასტრუქტურა, მოქალაქეებისთვის, ქმნის შესაძლებლობას გაზარდონ ფიზიკური აქტივობის დონე სხვადასხვა გზით, მათ შორის: სეირნობა, ძუნძული, სირბილი ან სხვა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ლანდშაფტის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ასევე ხელსაყრელია ველოსიპედით და სხვა არამოტორიზებული (მაგ.: ელექტრო სკუტერი, თვითგორია, სხვა) ტრანსპორტით რეგულარული გადაადგილებისთვის. ამოცანის შესრულების პროცესში, კეთილმოწყობილი ფიზიკური გარემოს გარდა, ყურადღება გამახვილდება მოქალაქეებში ფეხით და არამოტორიზებული ტრანსპორტით გადაადგილების სარგებლობის თაობაზე ცნობიერების ამაღლებაზე და არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლაზე. ქუთაისის ხელისუფლება ითანამშრომლებს მუნიციპალიტეტში მოქმედ ველო-აქტივისტთა ჯგუფებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც რეგულარულად ატარებენ ღონისძიებებს და პოპულარიზაციას უწევენ აქტიურ გადაადგილებას.

**1.4. სპორტულ და სარეკრეაციო სერვისებთან, აგრეთვე სპორტულ ობიექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.** ამოცანის შესრულება, ერთის მხრივ, უკავშირდება ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომების უზრუნველყოფას, ხოლო მეორეს მხრივ - მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას. ამოცანის შესრულების შედეგად, შეიქმნება და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტთან დაკავშირებული მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც გააერთიანებს მრავალმხრივ მონაცემებს და ინფორმაციას, მათ შორის: მუნიციპალური სპორტული სერვისების, მიწოდების პირობების, მწვრთნელთა ვინაობისა და მათი კვალიფიკაციის, ბენეფიციართა რაოდენობის (სახეობების, სქესის მიხედვით), სპორტული ობიექტების და მათი პარამეტრების, კერძო ფიტნეს და სხვა სპორტული ობიექტების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ზონებში საფეხმავლო და საველოსიპედე ბილიკების მარშრუტების შესახებ. ქუთაისის ხელისუფლება უზრუნველყოფს მონაცემების ყოველწლიურ განახლებას.

***მიზანი 2. ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური სპორტული სერვისების მიწოდება***

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ადგილობრივი მოქალაქეებს ორგანიზებულ სპორტში ჩართულობის მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს. მერიის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ბაზაზე (ააიპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“, შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“, ააიპ „ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“, შპს „საფეხბურთო კლუბი „ქუთაისის მართვე“, შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“) მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია 40-ზე მეტი სპორტის სახეობა და მომსახურება.

ადგილობრივი ხელისუფლების სპორტული ორგანიზაციები არსებით როლს ასრულებენ მასობრივი სპორტის განვითარებაში, ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების პროფესიული კარიერის გაგრძელების ხელშეწყობაში, აგრეთვე სპორტში მონაწილეობის ახალი შესაძლებლობების შექმნაში.

მერიის სპორტული ორგანიზაციების მიერ ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური მომსახურეობის მიწოდებაში, ახალი შესაძლებლობების შექმნაში, განსაკუთრებულ როლს ამ ორგანიზაციების მენეჯერები, თანამშრომლები და მწვრთნელები ასრულებენ. 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით, ამ სპორტულ ორგანიზაციებში დასაქმებულია 280 მწვრთნელი (89% ქალი, 11% კაცი), რომლებსაც ამ საქმიანობის განხორციელებისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ. სპორტული ორგანიზაციების მართვასა და ყოველდღიურ საქმიანობას უზრუნველყოფს 152 თანამშრომელი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტში სპორტული ორგანიზაციების სერვისების მიწოდების და განვითარების კონტექსტში, ჩატარებული ანალიზისა და დაინტერესებულ სუბიექტებთან (მათ შორის: მწვრთნელები, ბენეფიციარები და მათ წარმომადგენლები) კონსულტაციის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- საკვანძო მიმართულებებით (მაგ.: სტრატეგიული განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მარკეტინგი, კერძო და სხვა

სექტორებთან თანამშრომლობა, სხვ) სპორტული ორგანიზაციების სუსტად განვითარებული ინსტიტუციური შესაძლებლობები;

- სპორტული ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების საჭიროება და თანამედროვე ინვენტარის დეფიციტი;
- სპორტული ორგანიზაციების ზოგიერთ მომსახურებაზე მაღალი მოთხოვნა და მწვრთნელთა არასაკმარისი რაოდენობა; პარასპორტისა და შშმ პირთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებისთვის კვალიფიციურ მწვრთნელთა დეფიციტი; გოგონათა ჩართულობის გაზრდისთვის ხელშემწყობი ინიციატივების ნაკლებობა;
- მწვრთნელთა მომზადება-გადამზადების არსებული შესაძლებლობების სიმწირე, ზოგიერთ შემთხვევაში მწვრთნელთა დაბალი მოტივაცია.

ქუთაისში ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური სპორტული სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ დაგეგმა შემდეგი ამოცანების შესრულება:

**2.1. მერიის დაქვემდებარებულ სპორტულ ორგანიზაციებში მაღალკვალიფიციური საწვრთნელო პროცესის უზრუნველყოფა.** ამ მიმართულებით აქცენტი გაკეთდება არსებული სერვისების ხარისხის ზრდასა და ახალი სპორტული მომსახურების შექმნასა და მიწოდებაზე. ხელისუფლებამ, მერიის სპორტულ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ.: ეროვნული სპორტული ფედერაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები) მჭიდრო თანამშრომლობით, უნდა უზრუნველყოს მწვრთნელთა მომზადება-გადამზადებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა. სპორტული სერვისების სხვადასხვა ასპექტის გაუმჯობესებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, მწვრთნელთა რეგულარული გადამზადება.

**2.2. პარასპორტის საწვრთნელო შტაბის ჩამოყალიბება და განვითარება.** ამოცანის შესრულების პროცესში ერთ-ერთ დიდ გამოწვევას საქართველოში პარასპორტის კვალიფიციურ მწვრთნელთა მომზადებისთვის გამართული, კარგად ორგანიზებული სისტემის არ არსებობა წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით, ხელისუფლება გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას საქართველოს ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან მუნიციპალიტეტში პარასპორტის სახეობებში მწვრთნელთა მომზადებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და ხელმისაწვდომისთვის. ასევე, მუნიციპალიტეტის ხელისუფლება ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მწვრთნელთა მონაწილეობას სხვა გადამზადების პროგრამებში, რომელიც გაზრდის მათ შესაძლებლობებს შშმ პირთათვის ხარისხიანი სერვისების მიწოდებისთვის.

**2.3. სპორტის სფეროში მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.** მუნიციპალური სპორტული სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის და ახალი მომსახურების შექმნის პროცესში განსაკუთრებული როლი სპორტული ორგანიზაციების მაღალ ინსტიტუციური შესაძლებლობებს ენიჭება. ხელისუფლება, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერსებულ მხარეებთან თანამშრომლობით, იზრუნებს სპორტული ორგანიზაციების მენეჯერებისა და თანამშრომლებისთვის, სპორტის სფეროში დასაქმებული სხვა მუშაკებისთვის სხვადასხვა სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და ხელმისაწვდომობაზე.

**2.4. მწვრთნელთა მხარდაჭერა და წახალისება.** მწვრთნელთა მაღალი მოტივაცია პირდაპირ და დიდ გავლენას ახდენს ხარისხიან მუნიციპალურ სპორტულ სერვისებზე. მოტივირებული მწვრთნელები უზრუნველყოფენ ბენეფიციართათვის საუკეთესო გამოცდილებას და წარმატებული სპორტსმენების აღზრდას. ქუთაისის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მწვრთნელთა კმაყოფილების დონის რეგულარულ შესწავლას, გამოვლენილ საჭიროებებზე დროულ და მყისიერ რეაგირებას. მწვრთნელთა მხარდაჭერისა და წახალისების უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება გააგრძელებს მათი პროფესიული განვითარების ხელისშეწყობას, წარმატებული და დამსახურებული მწვრთნელების ფულად და სხვა სახის წახალისებას.

*მიზანი 3. სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის გაძლიერება*

გენდერული უთანასწორობა სპორტში, არის მსოფლიო მასშტაბის  გამოწვევა, რომელიც შესაძლოა მრავალი სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული: მასობრივ სპორტში მამაკაცთა და ქალთა არათანაბარი ჩართულობა; კაცებთან შედარებით, ქალთა დაბალი ფიზიკური აქტივობა; სპორტულ სექციებსა და ფიზიკურ აღზრდაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა; სტერეოტიპული დამოკიდებულებები „კაცთა“ და „ქალთა“ სპორტის შესახებ; პროფესიულ სპორტში ქალი სპორტსმენების დაბალი ჩართულობა; ქალი სპორტსმენების მონაწილეობით სპორტული შეჯიბრებების მედია გაშუქების დაბალი სიხშირე; სპორტული ორგანიზაციების მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა არათანაბარი მონაწილეობა; ქალებისა და კაცების არათანაბარი ხელმისაწვდომობა სფეროში არსებულ რესურსებსა და მატერიალურ სიკეთეებზე და სხვა.

სპორტში გენდერული უთანასწორობა ნიშნავს სპორტის სფეროსთვის გამოუყენებელ შესაძლებლობას. გოგონებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა აძლიერებს  ქალთა პოზიციებს დარგის ყველა საფეხურზე, ზრდის სფეროში ჩართული პირების ცნობიერებას გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე, ცვლის საზოგადოების სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, ასევე, ქმნის უფრო უსაფრთხო გარემოს გოგონებისა და ბიჭებისათვის.

კვლევებით დასტურდება, რომ სპორტის მეშვეობით შესაბამისი დამოკიდებულებების, ფასეულობებისა და ეთიკური სტანდარტების პოპულარიზაცია ხელს უწყობს ფართო კულტურული ნორმების ჩამოყალიბებას. აგრეთვე, ახალგაზრდა ქალების მიერ სპორტის სფეროში შეძენილი ლიდერობის უნარ-ჩვევები და გამოცდილება ზრდის მათ თავდაჯერებულობასა და შესაძლებლობებს  სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროებში. მაღალი მიღწევების სპორტში წარმატებული ქალი ათლეტები სხვა გოგონებისა და ფართო აუდიტორიისთვის როლური მოდელის ფუნქციას ასრულებენ.

საქართველოში სპორტის სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობის მასშტაბი, გამოწვევები და რეკომენდაციები წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ, 2020 წელს გამოქვეყნებული, გენდერული ზეგავლენის შეფასების ანგარიშში. სპორტის სფეროში სხვადასხვა ფორმით გამოხატული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, საჯარო ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შემუშავდა რეკომენდაციები, მათ შორისაა: პოლიტიკის

დოკუმენტებში გენდერული ასპექტების და მიზნების ინტეგრირება, გენდერული ბიუჯეტირება; საინფორმაციო ღონისძიებების, არსებული გენდერული სტერეოტიპების დაძლევის და სპორტში მონაწილეობის ხელშემწყობი ინიციატივების განხორციელება; გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, სპორტული ორგანიზაციებისთვის დაფინანსების მექანიზმების შექმნა; სპორტის მუშაკთა სასწავლო პროგრამებში გენდერული თანასწორობის მოდულების დანერგვა; სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა. პროფესიონალ სპორტსმენებს, მწვრთნელებს და მსაჯებს შორის, ასევე სპორტულ ორგანიზაციებში გენდერული დისბალანსის დასაძლევად რეკომენდირებულია, ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების სპორტის განვითარების პროგრამებს დაემატოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მოთხოვნა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის დონეზე, გენდერული უთანასწორობა, როგორც სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში, ასევე მასობრივ და პროფესიულ სპორტში გამოვლინდა. 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით, მერიის დაქვემდებარებაში მოქმედ სპორტულ ორგანიზაციებში ქალი ბენეფიციარებისა და მწვრთნელების წილი არ აღემატება 21%-ს და 11%-ს. დაბალია ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი ქალაქის მერიის მიერ მხარდაჭერილ ან/და ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში (17%). სპორტული სახეობების მიხედვით, ყველაზე მეტი ქალი სპორტსმენი ირიცხება შემდეგ სპორტულ სექციებში (ხელმისაწვდომია მერიის დაქვემდებარებაში მოქმედი სპორტული ორგანიზაციების ბაზაზე): ტანვარჯიში, ფიგურული ციგურაობა, ჭადრაკი, ფარიკაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ბალახის ჰოკეი.

დაინტერესებულ მხარეთა შეფასებით (მშობლები, ქალი სპორტსმენები, ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები), მუნიციპალიტეტში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პრობლემის ძირითადი გამომწვევები მიზეზებია: ა) გოგონათა და ქალთა ცნობიერების დაბალი დონე სპორტული ვარჯიშისა და ფიზიკური აქტივობის აუცილებლობის თაობაზე; ბ) სპორტში ქალების მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპები; გოგონათა და ქალთა ინტერესებზე მორგებული სერვისების/პროგრამების, სათანადო სპორტული ობიექტების (მათ შორის დამხმარე ნაგებობების, მაგ.: გასახდელი, საპირფარეშო და სხვა) და ინვენტარის დეფიციტი; სპორტში ქალთა ჩართულობის ხელშემწყობი ინიციატივების არ არსებობა ან მათი არაეფექტიანობა.

პროფესიულ სპორტთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მერია უზრუნველყოფს ქალთა საფეხბურთო კლუბის სუბსიდირებას, აგრეთვე მერიის მიერ დაფინანსებული კერძო პროფესიული სპორტული კლუბების 40%-ს გააჩნია ქალთა გუნდები.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების ამოცანებია:

**3.1. სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ქალთა ჩართულობის ზრდა.** ამოცანის შესრულების პროცესში ყურადღება გამახვილდება მერიის მხარდაჭერით ორგანიზებულ სამოყვარულო და მასობრივ ღონისძიებებში ქალების მონაწილეობის ხელშეწყობაზე. ხელისუფლება, შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის ან/და განხორციელების პროცესში, გაითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს და უზრუნველყოფს ქალთა ხელმისაწვდომობის ზრდას დაგეგმილ ღონისძიებებზე.

ქალაქის ხელისუფლება დანერგავს და განავითარებს, გენდერული ჭრილის გათვალისწინებით, სპორტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ადმინისტრირების პრაქტიკას. გენდერული ასპექტების გათვალისწინება მოხდება ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე.

ამოცანის შესრულების პროცესში, ადგილობრივ ხელისუფლება მჭიდროდ ითანამშრომლებს გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სპეციალისტებთან, ყურადღება გამახვილდება სპორტის მუშაკთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

**3.2. მასობრივ სპორტში ქალთა მონაწილეობის ზრდა**. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოქმედებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება", რომელიც მასობრივი სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელი ყველაზე მსხვილი სუბიექტია. მას ჰყავს 4000-ზე მეტი ბენეფიციარი (ქალები - 17%). აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილობრივი ხელისუფლება, ამ ორგანიზაციასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, იზრუნებს დაწესებულებაში ქალი ბენეფიციარების რაოდენობის ზრდაზე, მათ შორის არსებულ სპორტულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით და გოგონათა ინტერესებზე მორგებული ახალი სპორტული სერვისების შექმნით, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

**3.3. პროფესიულ სპორტში ქალთა მონაწილეობის ზრდა.** იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში პროფესიული სპორტი კვლავ დამოკიდებულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ მხარდაჭერაზე, ქუთაისის ხელისუფლება, კერძო პროფესიულ კლუბებთან თანამშრომლობისას მხედველობაში მიიღებს მათ მიერ გენდერული ასპექტების გათვალისწინების პრაქტიკას. აღნიშნული გულისხმობს, რომ კერძო სპორტულმა კლუბებმა, რომლებიც მიმართავენ მერიას ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, უნდა უზრუნველყონ კლუბის ბაზაზე სულ მცირე ქალთა ერთი გუნდის/სექციის ფუნქციონირება. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლება წაახალისებს სპორტულ ორგანიზაციებს, მათ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოაქვეყნონ ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლები.

*<u>მიზანი 4. სპორტის ეკონომიკური განზომილების განვითარების ხელშეწყობა</u>*

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ აღიარებულია სპორტის პოტენციალი, წვლილი შეიტანოს ღირსეულ დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდაში. მსოფლიოს 10 წამყვანი ინდუსტრიიდან სპორტი ერთ-ერთია, რომელსაც ეკონომიკურ ზრდაზე ხანგრძლივი ეფექტის მოხდენა შეუძლია. სპორტის სექტორში ეკონომიკური აქტივობა მოიცავს, მათ შორის: სპორტსმენთა, მათი დამხმარე პერსონალისა და მაყურებელთა ხარჯებს, ინფრასტრუქტურის მშენებლობას; ეკიპირებისა და ინვენტარის წარმოებას, სასპორტო მომსახურების შექმნასა და მიწოდებას; მედიით გაშუქების უფლებებსა და სპონსორობას; შეჯიბრებებს, მოგზაურობას, ტურიზმს და სხვა მიმართულებებს. დიდი პოტენციალი აქვს სპორტში საჯარო და კერძო თანამშრომლობის განვითარებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) აღიარებენ, რომ სპორტში მოხალისეთა საქმიანობას მაღალი ეკონომიკური ღირებულება აქვს. მოხალისეობრივი საქმიანობა ხელს უწყობს

მონაწილეებში დასაქმებისთვის ისეთი საკვანძო უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, პრობლემების მოგვარება. სათანადო მიდგომების გამოყენების შემთხვევაში, სპორტში მონაწილეობა ხელს უწყობს სწავლისა და სამუშაოს მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებას.

საქართველოს ეროვნული სტრატეგიით „ხედვა 2030“, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, ჩამოყალიბებულია რამდენიმე ძირითადი მიზანი, მათ შორისაა: საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა; ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა და სხვა. საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ორიენტირებულია ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა: სახელმწიფო ქონების განკარგვით მიღებული ინვესტიციების მოცულობის და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების ფარგლებში გაცემული დაფინანსების ზრდა; კერძო ინვესტიციების სტიმულირება; ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება; კერძო სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სამეწარმეო იდეების მხარდაჭერა; მეწარმეობრივი კულტურის დანერგვა და ცნობიერების ამაღლება; რეგიონებში სხვადასხვა ტურისტული პროდუქტების, აქტივობებისა და გამოცდილების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო მოგზაურთა ინფორმირებულობის დონის ზრდა.

საქართველოს ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, განვითარდება სპორტული ტურიზმი, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას რეგიონში და მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებასა და პოპულარიზაციას. სახელმწიფო იზრუნებს ქვეყანაში საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისა და მასში მონაწილე უცხოელი პირების რაოდენობის ზრდას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტში, სპორტის გამოყენებით საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

**4.1. მერიის სპორტული ორგანიზაციების კერძო შემოსავლების ზრდა.** ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული სპორტული დაწესებულებები, მათ შორის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციები (შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“, შპს „საფეხბურთო კლუბი „ქუთაისის მართვე“, შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“) მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ხელისუფლების ყოველწლიურ სუბსიდიასა და ფინანსურ მხარდაჭერაზე. ქალაქის ხელისუფლებამ, დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობით, ხელი უნდა შეუწყოს სპორტულ ორგანიზაციებში კერძო შემოსავლების ზრდას. ამ მიმართულებით ყურადღება უნდა გამახვილდეს სპონსორებისა და კერძო სუბიექტების ინტერესებზე მორგებული მარკეტინგული და სხვა წინადადებების შემუშავებაზე, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებაზე, ასევე სხვა ინიციატივების დანერგვაზე, რაც შექმნის ალტერნატიული შემოსავლების მიღების ახალ შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს, მერიის სპორტული ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაზე მარკეტინგისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიმართულებით.

**4.2. ნიჭიერ სპორტსმენთა და პროფესიული სპორტის განვითარების მხარდაჭერა.** ხელისუფლება აღიარებს ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენებში და მათ დაოსტატებაში ინვესტიციების განხორციელების აუცილებლობასა და მნიშვნელობას. ადგილობრივი ხელისუფლების მიდგომა ემსახურება ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების პოტენციალის რეალიზებას, რაც მათ დაეხმარება წარმატებულ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში, ასევე ხელს შეუწყობს ქუთაისის სპორტული ტრადიციების განმტკიცებას. ამ მხრივ, ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იქნება საქართველოს ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებ გუნდებში ქუთაისელი სპორტსმენების რაოდენობის ზრდაზე, ასევე მასობრივი სპორტიდან პროფესიულ სპორტში ნიჭიერი ახალგაზრდების გადასვლის მხარდაჭერაზე.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაში პროფესიული სპორტის დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, ქუთაისის ხელისუფლება იზრუნებს პროფესიული სპორტის შემდგომი განვითარებისთვის ხელშემწყობი ეკოსისტემის შექმნაზე. წარმატებული და ძლიერი პროფესიული სპორტული ორგანიზაციები, კლუბები ქმნიან ქალაქში მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის, ინვესტიციების მოზიდვის, ტურიზმის განვითარების დამატებით შესაძლებლობებს.

**4.3. სპორტული ტურიზმის განვითარება.** იმერეთის რეგიონში სარეკრეაციო ზონებში სალაშქრო ტურებსა და კარგად მოწყობილ საბანაკე ადგილებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ქუთაისს და მის შემოგარენს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი სათავგადასავლო და ექსტრემალური (სპორტული) ტურიზმის, საფეხმავლო, საველოსიპედო და სხვა სახის აქტიური დასვენებისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად, ქალაქის ხელისუფლება, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, იზრუნებს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ასევე აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი ტურისტული აქტივობებისა და შემოთავაზებების რაოდენობის ზრდაზე.

სპორტზე დაფუძნებული ტურიზმის პოტენციალის რეალიზებისთვის, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იქნება ქალაქის ტერიტორიაზე საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებებისა და სხვა ღონისძიებების გამართვაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობაზე, ღონისძიების მონაწილეებისა და მათი თანმხლები პირებისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზებაზე (მაგ.: ტურისტული, კულტურულ-გასართობი თუ სხვა ტიპის დამატებით ღონისძიებებში მონაწილეობა). მუნიციპალიტეტის ხელისუფლების საქმიანობა მოემსახურება ქუთაისის, როგორც სპორტული დანიშნულების ადგილის იმიჯის ჩამოყალიბებას და პოზიციონირებას.

**4.4. სპორტში კერძო ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა.** ამოცანის შესრულების პროცესში, ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი საქმიანობა დაკავშირებული იქნება მუნიციპალიტეტში კერძო სპორტული ორგანიზაციებისა და ობიექტების შესაძლებლობების გაძლიერებასთან, ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების და სხვა შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდასთან, რეგულარულ კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაცვლასთან.

ქალაქის ხელისუფლებისთვის საკვანძო პრიორიტეტი იქნება სპორტის სფეროში საჯარო და კერძო ინიციატივების განხორცილება. საჯარო და კერძო პარტნიორობა ქმნის სპორტული ინფრასტრუქტურის ან/და პროგრამების ერთობლივი დაგეგმვის, დაფინანსების და განხორციელების შესაძლებლობას. ეს პარტნიორობა საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას გამოიყენოს კერძო სექტორის გამოცდილება და მატერიალური რესურსები სპორტული ობიექტების შექმნისა და განვითარებისთვის. ასევე, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლება იზრუნებს მერიის განკარგულებაში არსებული ზოგიერთი სპორტული ობიექტის მართვასა და ოპერირებაში კერძო ორგანიზაციების ჩართვაზე. კერძო სექტორში დაგროვილი ცოდნისა და რესურსების გამოყენებით, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს სპორტული ობიექტების ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოების ფართო მასების ჩართულობაზე.

***<u>მიზანი 5. სპორტული და აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის განვითარება, ხელმისაწვდომობის ზრდა</u>***

მდგრადი ურბანული განვითარება და პროცესების მართვა უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანთა ხარისხიანი ცხოვრებისთვის. დადასტურებულია, რომ მწვანე სივრცეების არსებობა პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის არაერთ ასპექტზე. სათანადო ურბანულ ინფრასტრუქტურას შეუძლია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ფიზიკური აქტივობის დონის ამაღლებას და ჰაერის დაბინძურების ხარისხის შემცირებას.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა საქართველოს მთავრობის მიერ პრიორიტეტადაა განსაზღვრული. ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი ამოცანაა თვითმმართველ ერთეულებში საბაზისო, საგანმანათლებლო, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია. მომდევნო წლებში დაგეგმილია, მათ შორის: რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, ტურისტული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ობიექტების რეაბილიტაცია. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარების კონტექსტში, აღსანიშნავია, მთავრობის მიზნები გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის მიმართულებით. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2030 წლამდე, საქართველოს მთავრობა გეგმავს, შექმნას ქვეყნის ყველა რეგიონში თანამედროვე, სპორტსმენის საჭიროებებზე მორგებული, სულ მცირე, ერთი მულტიფუნქციური კომპლექსი, ასევე სპორტული ობიექტები დამწყები და მოქმედი პარასპორტსმენებისთვის.

ქუთაისის ხელისუფლებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ძირითადი პრიორიტეტია, რომელზედაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 30%-ზე მეტი იხარჯება. მუნიციპალურ ბიუჯეტში, ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, გათვალისწინებულია არაერთი პროგრამა, მათ შორის: გზებისა და ტროტუარების შეკეთება და მშენებლობა; ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კაპიტალური და საექსპლოატაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

პროექტების მომზადება და სხვა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ტერიტორიაზე მსხვილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები, უმთავრესად, ხორციელდება კაპიტალური ტრანსფერების სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სსიპ „მუნიციპალური განვითრების ფონდის“ მიერ გამოყოფილი ასიგნებებით.

ქუთაისის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალურ სპორტულ ობიექტებს, ძირითადად, მართავენ მერიის მიერ დაფუძნებული ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ და შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“. გარდა ამისა, მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს ქალაქის ეზოებში ღია ტიპის სპორტული მინი-მოედნებისა და გარე სატრენაჟორო სივრცეების მოწყობა/განვითარებას.

მერიის საკუთრებაშია 25 სხვადასხვა სპორტული ობიექტი. სპორტულ მომსახურებაზე დიდი მოთხოვნის გამო, მერიის დაქვემდებარებულ სპორტულ ორგანიზაციებს იჯარით აქვთ აღებული ქალაქში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული სივრცეები. მერიის განკარგულებაში არსებულ ობიექტებს შორის ჭარბობს რაგბისა და ფეხბურთის მოედნები, ჭიდაობისა და საბრძოლო სახეობებისთვის განკუთვნილი დარბაზები.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში წარმატებით განხორციელდა არაერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: ჯომარდობის ბაზა, ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისი საცურაო აუზი, UEFA-ს მე-4 კატეგორიის საფეხბურთო სტადიონი და სხვა, ქალაქში კვლავ დეფიციტურია კალათბურთის და სხვა სათამაშო სახეობების, აგრეთვე ცურვისთვის სივრცეები. შეზღუდულია მერიის საკუთრებაში არსებული ისეთი სპორტული სივრცეების რაოდენობა, რომლებიც დააკმაყოფილებენ მაღალი დონის საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების მასპინძლობისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მერიის საკუთრებაში არსებული სპორტული ობიექტების მხოლოდ მცირე ნაწილი არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ადაპტირებული სპორტული ობიექტებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ხელს უშლის შშმ პირთა უფლებების რეალიზებას, ასევე პარასპორტის მოძრაობის განვითარებას.

ზემოაღნიშნული გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სპორტული და აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

**5.1. ხარისხიანი სპორტული ინფრასტრუქტურის ქსელის შექმნა.** ამოცანის შესრულების შედეგად, უნდა გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ობიექტების რაოდენობა და მომსახურების მრავალფეროვნება, აგრეთვე ქსელის შესაძლებლობები უმასპინძლოს საერთაშორისო ახალგაზრდულ და პროფესიულ სპორტულ შეჯიბრებებს. სპორტული ინფრასტრუქტურის ქსელის განვითარების მიზნით (ახალი ობიექტების შექმნა, სარეაბილიტაციო პროექტები) შემუშავდება სამოქმედო გეგმა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების

პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, ასევე საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოყენებაზე. ქალაქის ხელისუფლება იზრუნებს სპორტული ობიექტების შემდგომი განვითარებისთვის მისი ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაზრდაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს არსებული სპორტული ობიექტების ხარჯთ-ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

**5.2. სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის.** შშმ პირთათვის სპორტული სივრცეებისა და ობიექტების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას და დასახლებების მდგრადი განვითარების აუცილებელ კომპონენტს. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მთავრობის სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, ქუთაისის ხელისუფლება, შშმ პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განახორციელებს სპორტული ობიექტების ადაპტირებას. ეს ამოცანა, ასევე ითვალისწინებს ქუთაისის ტერიტორიაზე ღია სპორტული მინი-მოედნებისა და სპორტულ აქტივობასთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურის ადაპტირების დონის გაუმჯობესებას. ამოცანის შესრულება პირდაპირ გავლენას მოახდენს საზოგადოებაში შშმ პირთა ინტეგრაციის, აგრეთვე მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობაზე.

**5.3. აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.** ადგილობრივი ხელისუფლების განზრახვაა მაქსიმალურად გამოიყენოს მოქალაქეთა აქტიური დასვენებისა და ფიზიკური აქტივობის დონის გაზრდისთვის არსებული პოტენციალი. ამ მიზნით, ხელისუფლება იზრუნებს ფეხით, ველოსიპედით და სხვა არამოტორიზებული ტრანსპორტით უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და კეთილმოწყობაზე. ლაშქრობისა და ექსტრემალური სპორტის სხვადასხვა აქტივობების განვითარებისთვის ქუთაისის ხელისუფლება, დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით, მათ შორის ინტერ-მუნიციპალური თანამშრომლობის ფორმატში, შექმნის და სათანადო დონეზე მოაწყობს შესაბამის ინფრასტრუქტურას და განავითარებს სერვისებს.

***<u>მიზანი 6. სპორტულ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერსებულ სუბიექტებთან თანამშრომლობის განვითარება</u>***

სპორტის მეშვეობით სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე პირდაპირი გავლენის მოსახდენად საჭიროა, ხელისუფლების მიზანმიმართული საჯარო პოლიტიკის განხორციელება, სხვადასხვა სექტორში (კერძო, სამოქალაქო, აკადემიური წრეები და სხვა) მოქმედი სუბიექტების რესურსებისა და ძალისხმევის გაერთიანება, აგრეთვე კოორდინირებული მოქმედებების უზრუნველყოფა.

როგორც სპორტის, ასევე სხვა სფეროებში საჯარო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე, რომლებსაც განსხვავებული დღის წესრიგი, მიდგომები და მოქმედებების არეალი გააჩნიათ. თუმცა, ხშირად, დაინტერესებულ მხარეებს (მათი განსხვავებული ფუნქციებისა და კომპეტენციის

მიუხედავად), საერთო პრიორიტეტები აქვთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია საერთო მიზნების იდენტიფიცირება და ერთმანეთის საქმიანობის თანხვედრაში მოყვანა, რაც უზრუნველყოფს რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას, ძალისხმევის კონსოლიდაციას, ურთიერთშემავსებელი ღონისძიებების განხორციელებას.

თანხვედრის მისაღწევად აუცილებელ წინაპირობას შესაბამისს დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაცია, ურთიერთგაგება, მოქნილობა და საქმიანობის ადაპტირება წარმოადგენს. ზემოაღნიშნული ასპექტების გათვალისწინებას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მუნიციპალიტეტის მიერ სპორტში და სპორტის მეშვეობით ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე.

სპორტზე პასუხისმგებელ ცენტრალურ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებთან ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს რეგულარული კომუნიკაცია. სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებული თანამშრომლობა, ძირითადად, მასშტაბური სპორტული პროექტების/შეჯიბრებების განხორციელებით, ასევე ქალაქისთვის სხვადასხვა სპორტული ინვენტარის მიწოდებით შემოიფარგლება. ქუთაისის ხელისუფლებას, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, წარმატებული თანამშრომლობა აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ასევე სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდთან“.

ქუთაისის მერიას აქვს რამდენიმე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციასთან პარტნიორობის კარგი გამოცდილება. ზოგიერთ ორგანიზაციასთან მერიას ჰქონდა და ამჟამადაც აქვს მიმდინარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები (ერთწლიანი), რომელთა საფუძველზე, მერიის დაფინანსების/თანადაფინანსებით სანაცვლოდ, მეორე მხარე იღებს სპორტული ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას. აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტის თანამშრომლობა ზოგიერთ ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციასთან, რომლის ფარგლებში ქალაქმა უმასპინძლა საერთაშორისო ღონისძიებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

წინამდებარე კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში, სპორტულ ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია სხვა სექტორებში, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოქმედ დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის: სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური დაწესებულებები, კერძო მეწარმეები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები და სხვა, თანამშრომლობის ჩამოყალიბება და განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ამოცანებია:

**6.1. სპორტში კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენების ხელშეწყობა.** კარგი მმართველობა არის ბიუროკრატიული მიდგომების, წესებისა და პროცედურების ერთობლიობა (პრინციპები), რომელთა გამოყენებაც დადებით გავლენას ახდენს სპორტული ორგანიზაციის ეფექტიანობაზე, მის შესაძლებლობებზე, მყისიერად უპასუხოს გამოწვევებს, აგრეთვე ხელს უწყობს სპორტული ორგანიზაციების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის

განხორციელებას. სპორტში კარგ მმართველობის პრინციპების დანერგვა და გამოყენება ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოების მიერ სპორტზე გამოყოფილი ასიგნებების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას.

ამ ამოცანის შესრულებისთვის, ქალაქის ხელისუფლება განსაზღვრავს სპორტში კარგი მმართველობის იმ პრინციპებს, რომელთა დანერგვა და გამოყენება მოეთხოვებათ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღებ სპორტული ორგანიზაციებს. ამ პრინციპების განხორცილებამ ხელი უნდა შეუწყოს სპორტული ორგანიზაციების საქმიანობაში ისეთი მიმართულებების გაძლიერებას, რაც უკავშირდება სპორტულ აქტივობებში მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობის ზრდას, გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას, სპორტსმენთა კეთილდღეობას, კერძო სექტორთან თანამშრომლობასა და სხვა ასპექტებს, რომლებსაც დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მდგრად განვითარებაზე.

**6.2. დაინტერესებულ სუბიექტებთან თანამშრომლობა კონცეფციით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.** კონცეფციის მიზნების სოციალურ თუ ეკონომიკურ სექტორებთან გამჭოლი ბუნების გათვალისწინებით, ისინი თანხვედრაშია სხვადასხვა სექტორებში მოქმედი დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებსა და დღის წესრიგთან. ამ ფაქტორის გათვალისწინება და გამოყენება ქმნის კარგ შესაძლებლობას ძალისხმევისა და რესურსების კონსოლიდაციისთვის, ხარჯთ-ეფექტიანი მიდგომების დანერგვისა და წარმატებული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ამოცანის შესრულება ემსახურება კონცეფციით დასახული მიზნების მიღწევისთვის თანამშრომლობის განვითარებას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე მოქმედ სუბიექტებს შორის. აღნიშნული გულისხმობს დაინტერესებულ მხარეებთან უფრო ეფექტიან და რეგულარულ კომუნიკაციას, როგორც მუნიციპალიტეტის შიდა სტრუქტურებს შორის, ასევე გარე საქმიანობის კოორდინაციას, რესურსებისა და მხარდაჭერის კონსოლიდაციას, ერთობლივი ღონისძიებებისა და ინიციატივების განხორციელებას.

## IV. კონცეფციის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

*განხორციელება და საკოორდინაციო მექანიზმი*

2024-2030 წლებისთვის სპორტის პოლიტიკის კონცეფციის ლოგიკურ ჩარჩოში (წარმოდგენილია დანართის სახით) განსაზღვრული მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულება უნდა მოხდეს 2031-წლამდე. კონცეფციის განხორციელებისთვის, დაინტერესებულ სუბიექტებთან თანამშრომლობით, იქმნება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მტკიცდება 2-წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შესაბამისი ამოცანების შესრულებისთვის განსახორციელებელი აქტივობების (დროში გაწერილი), პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებების, საპროგნოზო ღირებულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ.

კონცეფციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებას უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერია, რომელმაც უნდა შეიქმნას სპორტის პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო (სათათბირო ორგანო).

საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, მერიას დაქვემდებარებული სპორტული და სხვა დაწესებულებების მაღალი და საშუალო რგოლის თანამდებობის პირები, ასევე საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება მიეცემათ პარტნიორებს: ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სპორტის სფეროში ჩართული ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს. საბჭოს შეხვედრები უნდა გაიმართოს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ.

საბჭოს ძირითად ფუნქციებს შორისაა: პრიორიტეტების შესაბამისად ამოცანების განსაზღვრა, სამოქმედო გეგმების განხილვა და საკრებულოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად; განსაზღვრული აქტივობების განხორციელების კოორდინაცია და ხელშეწყობა; არსებული პრობლემების განხილვა და რეაგირების გზების განსაზღვრა; მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების განხილვა და დამტკიცება, საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენა; საჭიროების შესაბამისად, კონცეფციის მიზნებისა და ამოცანების გადახედვა, მოსალოდნელი შედეგების კორექტირება და კონცეფციის დოკუმენტში ცვლილებების ინიცირება.

სპორტის პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს შეუფერხებელ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მერიის სპორტზე პასუხისმგებელი შესაბამისი სამსახური. ამ სამსახურის ფუნქციებს შორისაა: კონცეფციის სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა პასუხისმგებელი უწყებებისაგან, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სულ მცირე 6 თვეში ერთხელ, პროგრეს ანგარიშისა და წლიური ანგარიშის მომზადება.

საზოგადოება და დაინტერესებული მხარეები კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებას შეძლებენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტზე პასუხისმგებელ შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრების, ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური ვებგვერდის, სხვადასხვა მედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

*დაფინანსება*

კონცეფციისა და მისი სამოქმედო გეგმების განხორციელებისთვის დაფინანსების ძირითადი წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ასევე, კონცეფციის ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაში ჩაერთვებიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, სააგენტოები და ფონდები. გამოიყენება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა შესაძლო წყაროები.

*შესაძლო რისკები*

კონცეფციით განსაზღვრული მიზნების მიღწევის და ამოცანების შესრულების შესაძლო ძირითადი რისკებია:

*პოლიტიკური:* ადგილობრივი თვითმმართველობის 2025 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით შესაძლოა გადაიხედოს კონცეფციით გარკვეული მიზნები და ამოცანები;

*ეკონომიკური და ფინანსური:* ეკონომიკური არასტაბილურობა, ადგილობრივი ბიუჯეტში შემოსავლების კლება, სექტორში სუსტად განვითარებული ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობები, ფინანსურ რესურსებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა; კონცეფციით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების შემცირება;

*სოციალური:* შრომისუნარიანი მოქალაქეების მიგრაცია, სპორტის სფეროსთან ხარისხიან და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დამკვიდრებული სტერეოტიპები სპორტში ქალთა და შშმ პირთა მონაწილეობასთან დაკავშირებით; მოქალაქეთა ინფორმირებულობის დაბალი დონე და მათი დაბალი აქტივობა.

რისკების მინიმიზაციის და რეაგირების თაობაზე მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს სპორტის პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო.

*მონიტორინგი და შეფასება*

კონცეფციის განხორციელების შესახებ ანგარიშები მომზადდება პერიოდულად. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე საჭიროა რეგულარული მონიტორინგი. მონიტორინგის პროგრეს და წლიურ ანგარიშებში აისახება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობებისა და ამოცანების შესრულების მდგომარეობის შესახებ. პროგრეს ანგარიში მომზადდება არანაკლებ 6 თვეში ერთხელ, ხოლო წლიური ანგარიში - საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.

კონცეფციის მოქმედების პერიოდის განმავლობაში მომზადდება შუალედური (2027 წელს) და საბოლოო (2031 წელს) შეფასების ანგარიშები. შუალედური შეფასებაში აისახება კონცეფციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევები, საჭიროებისამებრ განხორციელდება ცვლილებები კონცეფციის ლოგიკურ ჩარჩოში. კონცეფციის ამოცანები განახლდება მათი მიღწევის ან ხედვის რეალიზებისთვის ახალი ამოცანების გამოკვეთის შემთხვევაში.

მონიტორინგისა და შეფასების შესაბამის ანგარიშებს მოამზადებს ქალაქ ქუთაისის მერიის სპორტზე პასუხისმგებელი სამსახური, შესაბამისი უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ანგარიშების საფუძველზე. მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები განიხილება სპორტის პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მიერ და წარედგინება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მონიტორინგის წლიური და შეფასების ანგარიშები გამოქვეყნდება ქუთაისის მერიის ვებ გვერდზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ერემეიშვილი

**სამოქმედო გეგმა 2024-2025 წლებისთვის (პროექტი)**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის პოლიტიკის კონცეფცია 2030**

**ხედვა:** ქუთაისის სპორტის პოლიტიკა ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

**ჩვენი მიზანია:**

- განვამტკიცოთ ქუთაისის სპორტული ტრადიციები, რისთვისაც ვქმნით სათანადო პირობებს ნიჭიერი სპორტსმენებისა და პროფესიული სპორტის განვითარებისთვის;
- განვამტკიცოთ მოქალაქეთა ჯანმრთელობა, რისთვისაც ვქმნით, ყველასთვის, ფიზიკური აქტივობისა და სპორტში მონაწილეობისთვის უსაფრთხო და ადაპტირებულ გარემოს;
- გამოვიყენოთ სპორტის პოტენციალი და გავლენა ადგილობრივი საზოგადოების მდგრადი განვითარების სხვა ამოცანებისთვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მიზანი 1. მოქალაქეების ფიზიკური აქტივობისთვის დონის ზრდა** | | | | | | |
| მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირი | SDG 3 "ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის" (ამოცანა 3.4; 3.5)<br>SDG 10 "უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის" (ამოცანები 10.2; 10.3)<br>SDG 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე (ამოცანა 16.6) | | | | | |
| გავლენის ინდიკატორი | 1. ზრდასრულ მოქალაქეთა (ქალი, კაცი) % წილი, რომლებიც ასრულებენ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის რეკომენდაციებს (ჯანმო)<br><br>2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა (6-18 წლის ასაკი) %, რომლებიც ასრულებენ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის რეკომენდაციებს (ჯანმო) | საბაზისო მაჩვენებელი, 2023 | შუალედური მაჩვენებელი, 2026 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო | |
| | | 1. განისაზღვრება 2024 წელს<br><br>2. განისაზღვრება 2024 წელს | 1. გაზრდილია 5-%<br><br>2. გაზრდილია 5-% | 1. გაზრდილია 15%-ით<br><br>2. გაზრდილია 15%-ით | NCDC-ის ჩართულობით ჩატარებული კვლევა | |
| **ამოცანა 1.1.** | **მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ზრდა, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის შესახებ** | | | | | |
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1. | 1. ზრდასრულ მოქალაქეთა (ქალი, კაცი) % წილი, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის ფორმების, ხანგრძლივობისა და ინტენსივობის შესახებ (ჯანმო)<br><br>2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა % წილი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში | საბაზისო მაჩვენებელი, 2023 | შუალედური მაჩვენებელი, 2026 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო | |
| | | 1. განისაზღვრება 2024 წელს<br><br>2. განისაზღვრება 2024 წელს | 1. გამოკითხულთა 25%<br><br>2. მოსწავლეთა 30% | 1. გამოკითხულთა 40%<br><br>2. მოსწავლეთა 70% | 1. სსიპ "დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ჩართულობით ჩატარებული კვლევა (NCDC) / ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია<br><br>2. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი / ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია | |
| აქტივობა | | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა |

<table>
<tr><td colspan="2">1.1.1 ქუთისის მოქალაქეთა ფიზიკური აქტივობის და სპორტში მონაწილეობის საზოგადოებრივი კვლევა</td><td>კვლევის ანგარიში მომზადებულია</td><td>მიღება-ჩაბარების აქტი</td><td>მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</td><td>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი<br><br>ჯანმოს ოფისი საქართველოში<br><br>დონორი</td><td>IV კვარტალი, 2024</td></tr>
<tr><td colspan="2">1.1.2. ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება</td><td>ა) სოციალურ მედიაში განთავსებულია ბეჭდური-ფოტო-ვიდეო მასალა<br><br>ბ) ზოგადსაგანმანატლებლო სკოლებში და სხვა დაწესებულებებში ჩატარებულია სულ მცირე 20 შეხვედრა<br><br>გ) ქალაქის ქუჩებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე განთავსებულია სარეკლამო ბანერები</td><td>სოციალურ მედიაში ნახვების რაოდენობა<br><br>შეხვედრების პრესრელიზი</td><td>მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური<br><br>ააიპ "ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს ცენტრი"</td><td>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი<br><br>ჯანმოს ოფისი საქართველოში<br><br>განათლების რესურსცენტრი ქუთაისი<br><br>დონორი</td><td>2025 წლის განმავლობაში</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.2.</td><td colspan="6">მოქალაქეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული ფიზიკური და სპორტული აქტივობის ხელშემწყობი სერვისების მიწოდება</td></tr>
<tr><td rowspan="2">ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1</td><td rowspan="2">1. შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი (ადაპტირებული) მუნიციპალური სპორტული სერვისების/სახეობების რაოდენობა<br><br>2. მერიის მხარდაჭერით ორგანიზებულ სამოყვარულო შეჯიბრებებსა და მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა</td><td>საბაზისო მაჩვენებელი, 2023</td><td>შუალედური მაჩვენებელი, 2026</td><td>სამიზნე მაჩვენებელი, 2030</td><td colspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>1. 5 სერვისი<br><br>2. 3000 ბენეფიციარი (83% კაცი, 17% ქალი)</td><td>1. 8 სერვისი<br><br>2. 4300 ბენეფიციარი (სულ მცირე 27% ქალი)</td><td>1. 15 სერვისი<br><br>2. 5800 ბენეფიციარი (სულ მცირე 37% ქალი)</td><td colspan="2">ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობა</td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი</td><td>დადასტურების წყარო</td><td>პასუხისმგებელი უწყება</td><td>პარტნიორი უწყება</td><td>შესრულების ვადა</td></tr>
<tr><td colspan="2">1.2.1. ააიპ "ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში" შშმ პირთათვის სპორტული სექციების გახსნა</td><td>2 ახალი სპორტული სექცია ხელმისაწვდომია</td><td>ბენეფიციართა რეგისტრაციის ჟურნალი</td><td>ააიპ "ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება"</td><td>საქ. ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი<br><br>ქუთაისის შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭო<br><br>დონორი ორგანიზაციები<br><br>მერიის სოციალური დაცვის სამსახური</td><td>2024, III კვარტალი<br>2025, III კვარტალი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="2">1.2.2. ყოველწლიური სამოყვარულო სპორტული ფესტივალის "სპორტი გვაერთიანებს" ორგანიზება (შშმ პირთა მონაწილეობით, სპორტული და საგანმანათლებლო კომპონენტების ინტეგრირება)</td><td>ღონისძიებაში მონაწილე პირთა (მათ შორის შშმ და ქალების) რაოდენობა</td><td>ღონისძიების პრესრელიზი</td><td>მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</td><td>საქ. ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი<br><br>საქ. ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის"</td><td>2024 წლის, II კვარტალი<br>2025 წლის, II კვარტალი</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.3.</td><td colspan="6">ქვეითად და არამოტორიზებული ტრანსპორტით გადაადგილებისთვის პოპულარიზაცია</td></tr>
<tr><td rowspan="2">ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1</td><td rowspan="2">1. მოქალაქეთა %, რომლებიც 2 კილომეტრამდე მანძილის დასაფარად ქვეითად გადაადგილდებიან (არ იყენებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებას)<br><br>2. მოქალაქეთა %, რომლებიც რეგულარულად გადაადგილდებიან ველოსიპედით ან სხვა არამოტორიზებული ტრანსპორტით</td><td>საბაზისო მაჩვენებელი, 2023</td><td>შუალედური მაჩვენებელი, 2026</td><td>სამიზნე მაჩვენებელი, 2030</td><td colspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>1. განისაზღვრება 2024 წელს<br><br>2. განისაზღვრება 2024 წელს</td><td>1. გაზრდილია 10%-ით<br><br>2. გაზრდილია 5%-ით</td><td>1. გაზრდილია 25%-ით<br><br>2. გაზრდილია 15%-ით</td><td colspan="2">სსიპ "დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ჩართულობით ჩატარებული კვლევა (NCDC) / ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობა</td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი</td><td>დადასტურების წყარო</td><td>პასუხისმგებელი უწყება</td><td>პარტნიორი უწყება</td><td>შესრულების ვადა</td></tr>
<tr><td colspan="2">1.3.1. ქალაქში ორგანიზებული ყოველთვიური ველო-მსვლელობების (სხვა არამოტორიზებული ტრანსპორტის მონაწილეობით) ჩატარება</td><td>წლის განმავლობაში ჩატარებულია სულ მცირე 12 ველო-მსვლელობა<br><br>მონაწილეთა რაოდენობა</td><td>ღონისძიების პრესრელიზი</td><td>მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური<br><br>ააიპ "ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება"</td><td>სამოქალაქო ველოაქტივისტთა ჯგუფები<br><br>ეროვნული და რეგიონული სპორტული ფედერაციები</td><td>2024-2025 წლების განმავლობაშიო</td></tr>
<tr><td colspan="2">1.3.2. ქალაქში სამოყვარულო გარბენების და სკანდინავიური სიარულის ღონისძიებების რეგულარული ორგანიზება (სპორტული და საგანმანათლებლო კომპონენტების ინტეგრირება) ჩატარება</td><td>წლის განმავლობაში ჩატარებულია სულ მცირე 6 ღონისძიება<br><br>მონაწილეობა რაოდენბოა</td><td>ღონისძიების პრესრელიზი</td><td>მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური<br><br>ააიპ "ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება"</td><td>ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის"<br><br>საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია</td><td>2024-2025 წლების განმავლობაში</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.4.</td><td colspan="6">სპორტულ და სარეკრეაციო სერვისებთან, აგრეთვე სპორტულ ობიექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td rowspan="2">ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1</td><td rowspan="2">1. მერიის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სპორტის სფეროსთან, ადამიანურ რესურსსა და სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით<br><br>2. ვებსაიტზე ინფორმაციის განახლების სიხშირე</td><td>საბაზისო მაჩვენებელი, 2023</td><td>შუალედური მაჩვენებელი, 2026</td><td>სამიზნე მაჩვენებელი, 2030</td><td colspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>1. არ არის ხელმისაწვდომი<br><br>2. არ არის ხელმისწავდომი</td><td>1. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონლაინ მერიის ვებგვერზე<br><br>2. წელიწადში ერთხელ</td><td>1. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონლაინ მერიის ვებგვერზე<br><br>2. წელიწადში ერთხელ</td><td colspan="2">ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია</td></tr>
<tr><td colspan="2">აქტივობა</td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი</td><td>დადასტურების წყარო</td><td>პასუხისმგებელი უწყება</td><td>პარტნიორი უწყება</td><td>შესრულების ვადა</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **1.4.1. სპორტთან დაკავშირებული შესაგროვებელი მონაცემის ჩამონათვალის, შეგროვების პერიოდულობისა და სპორტული ორგანიზაციების მიერ ინფომრაციის წარმოდგენის წესის განსაზღვრა და დამტკიცება** | ინფორმაციის შეგროვების, მართვისა და განახლების წესი დამტკიცებულია | ქუთაისის მერის ბრძანება | მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | მერიის ადმინისტრაციული სამსახური<br><br>მერიას დაქვემდებარებული სპორტული ორგანიზაციები<br><br>მუნიციპალიტეტში მოქმედი კერძო სპორტული ორგანიზაციები და ობიექტები | 2024 წელი, III კვარტალი |
| **1.4.2. სპორტის სფეროსთან დაკავშირეუბლი ყოვლისმომცველი ინფორმაციის შეგროვების და მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა და ქუთაისის მერიის ვებგვერდზე ინტეგრირება** | ა) მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა შექმნილია<br><br>ბ) სისტემაში ასახული მონაცემების რაოდენობა | ა) მიღება-ჩაბარების აქტი<br><br>ბ) მერიის ვებგვერდი | მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | დონორი | ა) 2025 წელი, II კვარტალი<br><br>ბ) 2025 წელი, IV კვარტალი |

**მიზანი 2. ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური სპორტული სერვისების მიწოდება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირი | SDG 4 "ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის" (ამოცანები: 4.3; 4.4; 4.5; 4.ა)<br>SDG 8 "სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის" (ამოცანები: 8.5; 8.6) | | | | |
| | | **საბაზისო მაჩვენებელი, 2023** | **შუალედური მაჩვენებელი, 2026** | **სამიზნე მაჩვენებელი, 2030** | **დადასტურების წყარო** |
| გავლენის ინდიკატორი | 1. სამწვრთნელო მომსახურებით/მწვრთნელთა პროფესიონალიზმით კმაყოფილ ბენეფიციართა ან/და მშობელთა %<br><br>2. პარასპორტში მწვრთნელთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის გადამზადების სერტიფიკატი | 1. განისაზღვრება 2024 წელს<br><br>2. 3 მწვრთნელი | 1. გაზრდილია 15%<br><br>2. 10 მწვრთნელი | 1. გაზრდილია 30%<br><br>2. 20 მწვრთნელი | 1. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ჩატარებული კვლევა<br><br>2. საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი |
| **ამოცანა 2.1.** | **მერიის დაქვემდებარებულ სპორტულ ორგანიზაციებში მაღალკვალიფიციური საწვრთნელო პროცესის უზრუნველყოფა** | | | | |
| | | **საბაზისო მაჩვენებელი, 2023** | **შუალედური მაჩვენებელი, 2026** | **სამიზნე მაჩვენებელი, 2030** | **დადასტურების წყარო** |
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1. | 1. მწვრთნელთა როდენობა, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის ლიცენზია<br><br>2. დასაქმებულ მწვრთნელთა %, რომლებმაც კალენდარული წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს გადამზადების პროგრამებში | 1. 280<br><br>2. 18% | 1. 300<br><br>2. 30% | 1. 350<br><br>2. 65% | ააიპ "ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება /<br>შპს "ქუთაისის 2010" / ააიპ "ქუთაისი 2015" / შპს "მართვე" |

| აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| **2.1.1. მწვრთნელთა ასისტენტების ან/და ინსტრუქტორების ეროვნული ან საერთაშორისო ლიცენზიის მიღების მხარდაჭერის უზრუნველყოფა** | სულ მცირე 12 მწვრთნელი, რომელმაც მოიპოვა ეროვნული ან საერთაშორისო ლიცენზია | ლიცენზიის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (დოკუმენტი) | მერიის დაქვემდებარებაში მოქმედი სპორუტლი ორგანიზაციები | საქართველოს ეროვნული სპორტული ორგანიზაციები | 2024-2025 წლების განმავლობაში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
